სამუშაო რვეული

ქართული ენა უცხოელი შემსწავლელებისთვის

ერთად

B2+

ზღვრული განვითარებული
დონის გაძლიერებული საფეხური

www.geofl.ge

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"

„აღმართი“ B2+ (ზღვრული განვითარებული დონის გაძლიერებული საფეხური) განკუთვნილია იმ შემსწავლელებისათვის, რომლებიც უკვე საფუძვლიანად ფლობენ ენის ზღვრულ განვითარებულ დონეს. ქართული ენის B2+ დონეზე დაუფლების შემდეგ შემსწავლელს შეეძლება: ხმაურიან გარემოში სალიტერატურო ენით მიმდინარე საუბრის დაწვრილებით გაგება; იმ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების, ინტერვიუების, თემატური პროგრამების, სპექტაკლებისა და მხატვრული ფილმების უმეტესების გაგება, რომელთა პერსონაჟები მეტყველებენ სალიტერატურო ენით; მხატვრული ნაწარმოებების, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების, ასევე რეკლამების, ინსტრუქციებისა და განცხადებების კითხვა; მათი შინაარსის გადმოცემა, ძირითადი თემებისა და სხვადასხვა თვალსაზრისის კომენტირება, მათ განხილვაში მონაწილეობა; ზოგად თემატიკაზე დაწერილი ვრცელი ტექსტებიდან ძირითადი შინაარსის გაგება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ტექსტში არის იშვიათად გამოყენებადი გამოთქმები და უცნობი სიტყვები; საუბრის თავისუფლად დაწყება, გაგრძელება და დასრულება; დაწვრილებითი ინფორმაციის გადმოცემა ენობრივი დაბრკოლების გარეშე; სხვადასხვა საკითხზე გამართულ ზოგადი ხასიათის ხანგრძლივ საუბარში აქტიური მონაწილეობა; ნაცნობ თემაზე მიმდინარე არაოფიციალურ საუბრებში აქტიურად ჩართვა და საკუთარი თვალსაზრისის მკაფიოდ გამოხატვა; სხვადასხვა ტექსტის (ესეები, შეტყობინებები, რეფერატები) ნათლად და დაწვრილებით წერა, სტატიის შინაარსის ან ზოგად თემებზე დისკუსიის შესახებ მოკლე რეზიუმეს წერა; სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება და დამუშავება მისი გამოქვეყნების ან მოხსენებაში გამოყენების მიზნით.
სახელმძღვანელო შემსწავლელს აძლევს გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას ისეთი მოცულობით, როგორიც საჭიროა ენობრივი უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის B2+ დონის შესაბამისად და ამზადებს ენის ფლობის შემდეგ დონეზე სწავლის გასაგრძელებლად.

ავტორები: თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე
რედაქტორი — ნატა დავითაშვილი

ილუსტრატორ-დიზაინერი — ქეთევან ლომიშვილი
მოსასმენი დავალებები გახმოვანებულია სტუდია ანასეულის“ მიერ.

www.geofl.ge

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში.

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი — მარიკა ოძელი

© 2017

ᲖᲠᲐᲛᲐᲢᲘᲙᲐ

ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲐ

ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔ

ᲜᲐᲮᲔ

ᲩᲐᲬᲔᲠᲔ

ᲓᲐᲐᲙᲕᲘᲠᲓᲘ

ᲛᲝᲣᲡᲛᲘᲜᲔ

ᲛᲝᲘᲫᲘᲔᲠᲔ

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"
www.geofl.ge

ბლოკი 1

ფიროსმანი

1 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (1.1) და დაწერეთ, რა პრობლემა არსებობს ნიკო ფიროსმანის დაბადების თარიღთან დაკავშირებით:

2 ვიდეოჩანაწერის (1.1) მიხედვით დაწერეთ, რა გახდა ნიკო ფიროსმანაშვლის მირზაანიდან შულავერში, შემდეგ კი თბილისში გადასახლების მიზეზი:

3 ვიდეოჩანაწერის (1.1) მიხედვით დაალაგეთ თანამიმდევრობით ნიკო ფიროსმანის ცხოვრების ეპიზოდები:

- ○ სიღნაღელ ნაცნობთან, დიმიტრი ალუღიშვილთან, ერთად გახსნა თაფლისა და რძის პროდუქტების დუქანი.
- ○ მელიქ კაზარიანცის სახლთან ვაჭრობდა მაწვნით.
- ○ მუშტაიდის ბაღში გაიცნო მარგარიტა დე სევრი.
- ○ ფიროსმანს პარიზში, ლუვრში მოუწყვეს ერთთვიანი პერსონალური გამოფენა.
- ○ ავადმყოფმა ფიროსმანმა თავშესაფარი იპოვა ერთ პატარა სარდაფში, არჩილ მაისურაძის სახლში.
- ○ 4 წლის განმავლობაში მუშაობდა სატვირთო მატარებლის კონდუქტორად.
- ○ შეუყვარდა თავისზე უფროსი ქალი.
- ○ ნიკო ფიროსმანის საცხოვრებელ ოთახში ხანძარი გაჩნდა.
- ○ გადმოცემის მიხედვით, ნიკო ფიროსმანმა დაგეგმილი ქორწილი ჩაშალა.
- ○ ცხოვრობდა და მუშაობდა იმერეთსა და კახეთში.
- ○ მეგობრებმა ფიროსმანს და მრეცხავ ქალ მარუსიას ორთაჭალის ბაღში ხუმრობით ქორწილი გადაუხადეს.
- ○ 1914 წელს დაიწყო ფიროსმანის ხელმოკლე ცხოვრება.

4 ცხრილში ამოწერეთ განსხვავებული მოსაზრებები (ვიდეოჩანაწერი 1.1), რომლებიც ნიკო ფიროსმანის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით აქვთ ანზორ მაძღარაშვილსა და გიორგი კაკაბაძეს.

ანზორ მაძღარაშვილი	გიორგი კაკაბაძე

5 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (1.1) კიდევ ერთხელ და შეადგინეთ ნიკო ფიროსმანის ბიოგრაფია:

ბლოკი 2

აბანოთუბანი

1 წაიკითხეთ ტექსტი (შემსწავლელის წიგნი, დავალება 3) და ამოწერეთ ფრაზები, რომლებიც ალექსანდრე დიუმას განწყობას გადმოსცემს:

2 **გადაიკითხეთ ტექსტის (შემსწავლელის წიგნი, დავალება 3) პირველი აბზაცი და კონტექსტის მიხედვით თქვენი სიტყვებით დაწერეთ, რას ნიშნავს "ხათრი ვერ გავუტეხე".**

3 **გადაიკითხეთ ტექსტის (შემსწავლელის წიგნი, დავალება 3) ის ნაწილი, რომელშიც ავტორი აბანოებს აღწერს და იპოვეთ შემდეგი სიტყვის სინონიმები:**

მოტრფიალე .....

გაბედულად .....

4 **წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და მიუსადაგეთ სინონიმური მნიშვნელობები ჩამოთვლილთაგან:**

უფრო სანამ არამარტო ყალბი

ა. ეს ვარჯიში, რომელსაც თითქოს სახსრების მტვრევა უნდა მოჰყოლოდა, სრულიად ბუნებრივად მიმდინარეობდა და <u>არამცთუ</u> უმტკივნეულო, არამედ სასიამოვნოც იყო. .....

ბ. ერთგვარ საკრავს დავემსგავსე, რომლეზეც ისინი რაღაც არიებს უკრავდნენ და ბევრად უფრო მომწონდა, <u>ვიდრე</u> „ვილჰელმ ტელისა“ და „რობერტ ეშმაკის“ პატივსაცემი ოპერის არიები. .....

გ. ალჟირიდან თუ ბელგიიდან შემოტანილი <u>ვითომდა</u> ჰავანის სიგარას, რომელსაც ჩვენში იმდენსვე ღეჭავენ, რამდენსაც ეწევიან, ღმერთმა შეუნდოს! .....

დ. <u>ვიდრე</u> ერთი მათგანი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელებს მიზელდა, მეორე ჩემს ზურგზე აცეკვდა. .....

5 **აღწერეთ მოულოდნელი გამოცდილება, რომელიც სხვა ქვეყანაში / ქალაქში მოგზაურობისას ან სხვა კულტურასთან შეხების დროს გქონიათ:**

ბლოკი 3

იტალიური ეზო

1 ვიდეოჩანაწერის (1.4) მიხედვით, ერთ-ერთი უბნის სახელწოდება დაკავშირებულია დაჭრილი სარდლის ამბავთან, რომელსაც ჯარისკაცებმა უთხრეს, აღმართი ავიაროთ და ბარი დაიწყებაო. დააკვირდით უბნის სახელწოდებებს და გამოიცანით, რომელ უბანს ეწოდა სახელი ამ ამბის მიხედვით?

ორთაჭალა

სოლოლაკი

ავლაბარი

ვაკე

ისანი

ვერა

დიდუბე

2 განმარტეთ, რას გულისხმობს სიუჟეტის ავტორი, როცა ამბობს: „ევროპული სტილით ცხოვრება უნდოდათ, მაგრამ კლიმატური პირობების გამო ოთახში ჯდომა შეუძლებელი იყო“.

3 ვიდეოჩანაწერის (1.4) მიხედვით აღწერეთ თბილისური ეზოების შემდგომი ეტაპი ქალაქის არქიტექტურაში:

4 თქვენი აზრით, რა განსხვავებაა მოდერნიზმის არქიტექტურულ ნიმუშებსა და თბილისურ ეზოებს შორის? იქნება თუ არა საინტერესო ისინი ქალაქის დამთვალიერებლისთვის? რატომ?

5 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (1.5), აღწერეთ მასში გადმოცემული მეზობლური ურთიერთობები და შეადარეთ თქვენთვის ჩვეულ სამეზობლოს. დაწერეთ, რა უპირატესობა ექნებოდა თქვენთვის ასეთ თბილისურ ეზოში ცხოვრებას და რა იქნებოდა მიუღებელი.

ბლოკი 4

თბილისის არქიტექტურული მემკვიდრეობა

1 ვიდეოჩანაწერზე (1.6) დაყრდნობით ამოწერეთ ინფორმაცია ორგანიზაცია „თბილისის ჰამქარის“ შესახებ:

როდის დაარსდა?

რა დანიშნულება ჰქონდა?

რა საქმიანობას ეწევა?

2 აღწერეთ, როგორ მოქმედებს ხელისუფლებისა და ბიზნესსექტორის ურთიერთობა ქალაქის იერსახეზე:

3 **გადაიკითხეთ ამონაწერები ცირა ელისაშვილის ინტერვიუდან და ხაზგასმული ფრაზები განმარტეთ თქვენი სიტყვებით:**

ა. ეს ადამიანები აცხადებენ, რომ თბილისს ასე უბრალოდ და ასე ადვილად არავის დააჩაგვრინებენ.

ბ. თბილისის ისტორიული ნაწილი სამი ზონისაგან შედგება: არის მკაცრი დაცვის ზონა, ანუ სახელმწიფო დაცვის ზონა, განაშენიანების რეგულირების და ლანდშაფტის დაცვის ზონა. ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ ყველა ზონაში სრულიად შეუსაბამო და ამ ზონების დაცვის რეჟიმიდან გამომდინარე უკანონო მშენებლობები განვახორციელეთ ისე, რომ ეს კანონი ზოგჯერ დავარღვიეთ და ზოგჯერ საკუთარ თავზე მოვირგეთ.

გ. რუსთაველის 30 ნომერში, ეს არის ალექსანდრე ჭავჭავაძისა და რუსთაველის კუთხე, თავის დროზე იყო იუსტიციის სახლი. მიუხედავად იმისა, რომ მას ძეგლის სტატუსი ჰქონდა, მთლიანად გამოჭმულია შიგნიდან, მხოლოდ ფასადია რუსთაველის მხრიდან დარჩენილი, უკანა მხარეს ეს ფასადი მთლიანად დაშლილია.

დ. ყველა გენერალურ გეგმას შეეწირა ძალიან საინტერესო შენობები და ურბანული ტერიტორიები.

4 **ა. შეადარეთ ზმნებით გამოხატული მოქმედებები ქვემოთ მოცემულ ფრაზებში. დააკვირდით ხაზგასმულ ზმნებს და მონიშნეთ, რა შინაარსს გამოხატავენ ისინი:**

ვიღაცის / რაღაცის საშუალებით შესრულებულ მოქმედებას; ☐

შეუძლებელ მოქმედებას; ☐

მომავალში შესასრულებელ მოქმედებას. ☐

ქალაქის დამცველები თბილისს ასე უბრალოდ და ასე ადვილად არავის დააჩაგვრინებენ.
ქალაქის დამცველები თბილისს არ დაჩაგრავენ.

პირველმა გენერალურმა გეგმამ ქალაქს დააკარგინა მდინარე.
პირველმა გენერალურმა გეგმამ დაკარგა მდინარე.

ბ. იპოვეთ შუალობითი კონტაქტის მაწარმოებლები. .....

გ. წაიკითხეთ წინადადებები და გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით ხაზგასმული ზმნების შუალობითი კონტაქტის ფორმები:

1. ბიზნესმენები თბილისის ფოსტის უკან ახალ მრავალსართულიან შენობას <u>ააშენებენ</u>.
ქალაქის მმართველები ბიზნესმენებს თბილისის ფოსტის უკან ახალ მრავალსართულიან შენობას

.....

2. ახალი შენობები ურბანულ სივრცეებს <u>გაანადგურებენ</u>.

მშენებლები ახალ შენობებს ურბანულ სივრცეებს ..... .

3. ქალაქში აშენებულ პრობლემურ შენობებს ვერ დაანგრევენ.

ქალაქში აშენებულ პრობლემურ შენობებს ვერავის ..... .

5 **ქალაქი დეტალებშია, - ამბობს ცირა ელისაშვილი თბილისის შესახებ.**
რომელიმე ქალაქის მაგალითზე დაასაბუთეთ ეს მოსაზრება. ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ პუნქტებზე:

ის, რაც ამ ქალაქში ერთი შეხედვით, შორიდან არ ჩანს;

ქალაქის ადამიანური ისტორიები;

ქალაქის ისტორიული დეტალები.

თავი II

განათლების სისტემა და პრობლემები

ბლოკი 1

განათლების სისტემა საქართველოში

1 **გადახედეთ შემსწავლელის წიგნის პირველ დავალებაში მოცემულ სურათს და დაწერეთ თანამიმდევრობით, რა სახის განათლების მიღება შეუძლია მსურველს საქართველოში?**

1..... 2..... 3..... 4..... 5.....

2 **წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი და განმარტეთ შემდეგი ფრაზები:**

ა. შრომის ბაზარი

ბ. შრომითი კონკურენტუნარიანობა

გ. კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მეშვეობით

საქართველოს პროფესიული განათლების ძირითადი მახასიათებლები

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე პროფესიული განათლების ორიენტაციის, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობისა და მობილურობის ამაღლების ამოცანებიდან გამომდინარე, კონცეფცია საქართველოს პროფესიული განათლების ძირითად მახასიათებლებად მიიჩნევს:

1. მიმზიდველობას, რაც გულისხმობს ყველა ასაკის ადამიანის დაინტერესებასა და მოზიდვას პროფესიული განათლების მისაღებად;
2. მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისობას შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ამით მთელი სიცოცხლის განმავლობაში შრომითი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას;
3. სასწავლებლების ტიპებისა და მომზადების მიმართულებების, სასწავლო გეგმების მრავალფეროვნებას;
4. ხელმისაწვდომობას;
5. ეფექტიანობასა და მაღალ ხარისხს, რაც გულისხმობს პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციების შესრულებას, დასახული მიზნების მიღწევასა და მომზადებული სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობას შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე;
6. თანამედროვეობას, რაც გულისხმობს საუკეთესო (ეროვნული და საერთაშორისო) გამოცდილების გამოყენებას პროფესიული განათლების ახალი სისტემის მშენებლობისას.

პროფესიული განათლების მიზნები და ამოცანები

საქართველოში პროფესიული განათლების მიზნებია:

1. მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, პიროვნების პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერის ჩამოყალიბებისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;
2. ეკონომიკის უზრუნველყოფა შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრებით;
3. დასაქმებული სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მეშვეობით;
4. ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან მოსახლეობის ადაპტაციის ხელშეწყობა საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა და თვითდასაქმების გზით.

3 **შეადარეთ საქართველოს სასკოლო და პროფესიული განათლების სქემა თქვენთვის ნაცნობ სისტემას: რა მიგაჩნიათ ამ სისტემის დადებით მხარედ ან ნაკლად?**

4 **წაიკითხეთ ტექსტი საქართველოში უმაღლესი განათლების შესახებ (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 1, დავალება 3) და შეადარეთ თქვენს ქვეყანაში არსებულ უმაღლეს განათლებას: რითი ჰგავს ისინი ერთმანეთს და რითი განსხვავდება? თქვენ რომელ მოდელს მიიჩნევთ უკეთესად?**

5 **შეაჯამეთ მე-3 და მე-4 დავალებების მოსაზრებები, დაწერეთ მცირე ზომის ესე განათლების სისტემის პრობლემების შესახებ თქვენს ქვეყანაში შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:**

- მოცემული საკითხის მოკლე შესავალი;
- ძირითადი პრობლემატიკა;
- არგუმენტები;
- დასკვნა.

ბლოკი 2

უფასო თუ ფასიანი უმაღლესი განათლება?

1 **გადახედეთ შემსწავლელის წიგნში მოცემულ ტექსტს (ბლოკი 2, დავალება 2) და მონიშნეთ, რომელია სწორი და რომელი – არასწორი:**

	სწორია	არასწორია
არსებობს „უფასო“ განათლება, რომლისთვისაც ფულს არავინ იხდის.		
„„უფასო“ სწავლა დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს განათლების მიღების შანსს აძლევს.		
დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამები კადრების დეფიციტის მიხედვით შეიქმნა.		
სიმონ ჯანაშიას აზრით, სტუდენტებს მეტი პასუხისმგებლობა აქვთ, როდესაც სწავლას სახელმწიფო აფინანსებს.		

2 **განმარტეთ მოცემული ფრაზები კონტექსტის მიხედვით (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 2, დავალება 2).**

ა. ,,სწავლის საფასურის დაფარვა“

ბ. „ჩვენთან არსებობს „დიპლომიანი სიძის / პატარძლის“ ტენდენცია

გ. „განათლებაზე გამოყოფილი მწირი ბიუჯეტი“

დ. „ჩაბარების შემდეგ თავს დიდად არ იკლავენ სწავლით"

ე. „ქვეყნის განვითარებისთვის კადრების დეფიციტი იგრძნობოდა"

3 **თქვენ როგორ აფასებთ უფასო სწავლის იდეას? მოყვანილი არგუმენტებით დაასაბუთეთ თქვენი აზრი, გამოიყენეთ ფრაზები:**

- **ჩემი აზრით, ...;**
- **ვთვლი, რომ ...;**
- **ვფიქრობ, რომ ...;**

4 დაწერეთ, თქვენ რომ სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი იყოთ და შეგეძლოთ სწავლის დაფინანსება, რა კრიტერიუმების მიხედვით შეარჩევდით დასაფინანსებელ პროგრამებს? შეგიძლიათ გამოიყენოთ შემსწავლელის წიგნში მოცემული ტექსტი.

ბლოკი 3

სიღარიბის გავლენა განათლებაგე

1 მოკლედ დაწერეთ, თქვენი აზრით, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს სწავლასთან ერთად მუშაობის შეთავსებას?

2 გადმოეცით თქვენი სიტყვებით, როგორ გესმით მოცემული წინადადებები:

1. საკუთარი შრომით განათლების დაფინანსება.

2. სამუშაო საათების გახანგრძლივება.

3. სამუშაო საათების ანაზღაურება.

3 მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (2.1 ა) და აღნიშნეთ, სწორია თუ არა მოცმეული წინადადებები:

	სწორია	არასწორია
1. ღარიბების რაოდენობა ქალაქსა და სოფელში ერთნაირია.		
2. საერთაშორისო კვლევების მიხედვით დასტურდება, რომ სიღარიბე გავლენას ახდენს მოსწავლეების განათლებაზე.		
3. სოფელსა და ქალაქში მცხოვრები ბავშვების აკადემიური მოსწრება დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.		
4. მასწავლებლის კვალიფიკაცია, სკოლის ინფრასტრუქტურა, არაფორმალური განათლება მოქმედებს მოსწავლის სწავლის ხარისხზე.		
5. საქართველოში კერძო მასწავლებელთან დადის ოთხიდან ერთი ბავშვი. ყველაზე მეტი კი სკოლის ბოლო წლებში ემზადება კერძო მასწავლებლებთან.		
6. საქართველოში ღარიბი ოჯახების შემთხვევაშიც კი განათლების ხარჯები პირველ ადგილზე დგას საკვების ხარჯები კი მეორე ადგილზე.		
7. ჩამოსული სტუდენტები ძირითადად ქალაქელი სტუდენტებიგან განსხვავებით ნაკლებად პოპულარულ უნივერსიტეტებში ხვდებიან.		

4 ა. თქვენ რომ შეგეძლოთ წინადადების შეთავაზება, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება არსებული მდგომარეობის გამოსწორება, რომელ პრინციპებს შეიმუშავებდით? ჩამოწერეთ სამი პრონციპი, რომლებიც ამ მდგომარეობიდან გამოსვლაში დაეხმარება ქვეყანას.

- _____
- _____
- _____

ბ. მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (2.1 ბ) და შეადარეთ კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული პრობლემის გადაჭრის გზები თქვენ მიერ შემუშავებულ პრინციპებს. ჩამოწერეთ ის სამი პრინციპი, რომლებსაც გვთავაზობს მკვლევარი.

- _____
- _____
- _____

5 **ჩამოთვლილი თემებიდან აირჩიეთ ერთ-ერთი და დაწერეთ თქვენი მოსაზრება:**
(გამოიყენეთ ფრაზები: ჩემი აზრით; მე ვფიქრობ, რომ….; მე მიმაჩნია, რომ…; იმიტომ, რომ … ;)

- რამდენად მნიშვნელოვანია სამუშაო სწავლის დასაფინანსებლად?
- რამდენად ახდენს მუშაობა გავლენას სწავლაზე?
- ურჩევდით სხვებს სწავლის პარალელურად მუშაობას? რატომ?

ბლოკი 4

მასობრივი თუ ელიტური უმაღლესი განათლება?

1 **გადმოეცით თქვენი სიტყვებით, როგორ გესმით მოცემული წინადადებები:**

ა. „უმაღლესში სწავლა სოციალური კავშირების გაფართოების შესაძლებლობაა".

ბ. "უნივერსიტეტში სწავლის სურვილი სკოლადამთავრებულებს არა მხოლოდ სიმბოლური სტატუსის მიღების, არამედ პრაგმატული მოგების გამოც უჩნდებათ".

გ. „საზოგადოება საშუალებას აძლევს უმაღლესებს, რომ მუდმივად ზარდონ თავიანთი მისაღები კონტინგენტი.“

დ. „დასაქმების თანამედროვე მოთხოვნებიც მუდმივად მეტ კომპეტენციებს მოითხოვს“.

2 **გააერთიანეთ ფრაზები ერთ წინადადებად.**
გამოიყენეთ ფრაზები: ერთი მხრივ, ... მეორე მხრივ, ...

ა. უმაღლესი განათლების მასიფიკაცია საფრთხეს უქმნის უმაღლესი განათლების ხარისხს.

ადგილების ხელოვნური შეზღუდვა ზღუდავს სამართლიანობას.

ბ. მისაღები ადგილების რაოდენობის შემცირება უმაღლესის დიპლომების სიმბოლური მნიშვნელობის მატებას გამოიწვევდა.

ამით უნივერსიტეტებში მოხვედრის უპირატესობა ელიტების წარმომადგენლებისთვის გაიზრდებოდა.

3 **გადმოეცით ავტორის პოზიცია ქვემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით. გამოიყენეთ შემდეგი ფრაზები: ავტორის აზრით, ... ავტორი მიიჩნევს, რომ...**

ა. ელიტური განათლების მიმართ:

ბ. მასობრივი განათლების მიმართ:

4 თქვენი აზრით, რატომ აქვს ელიტურ საზოგადოებას უმაღლესში მოხვედრის მეტი შანსი? დაიხმარეთ შემსწავლელის წიგნში მოცემული ტექსტი (ბლოკი 4, დავალება 3) და მოიყვანეთ არგუმენტები.

ბლოკი 1

ადამიანი და ბუნება

1 **გადახედეთ შემსწავლელის წიგნში მოცემულ ტექსტს (ბლოკი 1, დავალება 2) და მონიშნეთ, ცხრილში წარმოდგენილი დებულებები სწორია თუ არასწორი:**

	სწორია	არასწორია
ადამიანის საარსებო გარემო ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებისაგან შედგება.		
ეკოსისტემა შედგება აბიოტური და ბიოტური ფაქტორებისგან.		
გარემოს ტემპერატურაზე დამოკიდებულია ორგანიზმში ნივთიერებების ცვლა.		
ნალექების რაოდენობა ადამიანის ფიზიკურ თავისებურებებს განსაზღვრავს.		

2 **გადმოეცით თქვენი სიტყვებით, როგორ გესმით მოცემული წინადადებები:**

ა. ქიმიური წარმოების ნარჩენები.

ბ. კლიმატური ფაქტორები.

გ. ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობა.

დ. ოზონის შრე აკავებს მავნე გამოსხივებას.

ე. სასარგებლო წიაღისეული.

ვ. რელიეფის ფორმების ცვლილება.

3 **გადახედეთ ვაჟა-ფშაველას მოსაზრებას ბუნებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებაზე. გადმოეცით მოცემული მონაკვეთის ძირითადი აზრი ერთი წინადადებით.**

„ბუნება ღვთაებრივი ჰარმონიის გამოვლინებაა, ადამიანი კი – ამ ჰარმონიის ნაწილი და როგორც არ უნდა იყოს მისი საამწუთიერო ინტერესები, იგი საბოლოოდ განწირული იქნება, თუ ბუნების გრძნეულ ენას არ მიუგდებს ყურს, მის უხილავ სულიერებას არ ირწმუნებს და მის ტკივილს არ გაიზიარებს. ბუნება ოდესმე სამაგიეროს გადაუხდის თავის ყოვლისშემძლეობით გაამპარტავნებულ ადამიანს და მარტოდმარტოს დატოვებს ცხოვრების დამშრალი მდინარის უსიცოცხლო, უხმო და უჩრდილო ნაპირზე.“

წყარო: http://genia.ge/?p=1894#more-1894

4 **როგორ გესმით ფრაზები:**

ა. ,,ბუნება ღვთაებრივი ჰარმონიის გამოვლინებაა.“

ბ. ბუნების გრძნეული ენისთვის ყურის მიგდება.

გ. ,,თავისი ყოვლისშემძლეობით გაამპარტავნებული ადამიანი.“

5 **იმსჯელეთ, როგორ შეუძლია ბუნებას ადამიანისთვის ,,სამაგიეროს გადახდა“? მოიყვანეთ არგუმენტები. გამოიყენეთ მე-3 სავარჯიშოში მოცემული ტექსტიც.**

ბლოკი 2

ბუნებრივი კატასტროფა

1 **წაიკითხეთ ნაწყვეტი მომხდარი სტიქიის მიზეზებსა და შედეგებთან დაკავშირებული ანგარიშიდან და მონიშნეთ სწორი პასუხი:**

სპეციალისტების მიერ საველე პირობებში მოპოვებული ინფორმაციისა და საფონდო (ისტორიული) გეოლოგიური და ჰიდროლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზე შედგა წინასწარი ანგარიში, რომელშიც მოცემულია მდინარე ვერეს ხეობაში ადრეულ წლებში განვითარებული კატასტროფების სტატისტიკური მონაცემები, სტიქიის გამომწვევი ბუნებრივი მიზეზები, ცალკეული, უკიდურესად გართულებული, უბნების გეოდინამიკური პირობები და შემუშავებულია რეკომენდაციები სამომავლოდ დასაცავი ღონისძიების გასატარებლად როგორც ახლო, ასევე საშუალოვადიან პერსპექტივაში.

ა.

1. მდინარე ვერეს ხეობაში სტიქია ადრეც მომხდარა.
2. მდინარე ვერეს ხეობა ისტორიულად დაცული და უსაფრთხო ადგილია;
3. მდინარე ვერეს ხეობაში არსებობს მნიშვნელოვანი გეოლოგიური მასალა.

ბ.

1. სტიქიის მიზეზებსა და შედეგებთან დაკავშირებული ანგარიშში აღწერილია ვერეს ხეობის შესახებ ისტორიული ცნობები;
2. სტიქიის მიზეზებსა და შედეგებთან დაკავშირებული ანგარიში ითვალისწინებს სასწრაფო და სამომავლო ღონისძიებებს;
3. სტიქიის მიზეზებსა და შედეგებთან დაკავშირებული ანგარიშის მიზანი ვერეს ხეობის შესახებ ისტორიული, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური ინფორმაციის შეგროვებაა.

2 **შემსწავლელის წიგნის (ბლოკის 2, დავალება 2) ტექსტში ხაზგასმული სიტყვების განამრტებები იპოვეთ ლექსიკონში.**

3 **იპოვეთ შესატყვისები ტექსტის მიხედვით: მიუსადაგეთ სიტყვები ერთმანეთს:**

დოკუმენტში	საუბარია
პროცესების	დაერთო
სახიფათო	მიზანი
თან	ჰქონდა
კვლევის	მოჰყვა
კვლევის შედეგად	პროცესები
ადგილი	გაცემა
შედეგები	მსხვერპლი
ადამიანთა	დადგინდა
რეკომენდაციების	გამოვლენა

4 **შეადგინეთ მიმღეობიანი ფრაზები შემდეგი ფრაზებისთვის:**

რეკომენდაციის გაცემა —
მიზეზების გამოვლენა —
კვლევის ჩატარება —

5 **მოცემული ფრაზები შეაერთეთ მიმღეობების მეშვეობით და დაწერეთ ანგარიში 13 ივნისს მომხდარი სტიქიის შესახებ:**

ა. 13-14 ივნისს ვერეს ხეობაში განვითარდა სტიქია.
სტიქიის წარმოშობის ძირითადი მიზეზი იყო მდინარე ვერესა და მისი შენაკადების აუზში მოსული დიდი ოდენობით ნალექი.

ბ. მიმდინარე წლის გაზაფხულზე თბილისსა და მის შემოგარენში დიდი რაოდენობით ნალექი მოვიდა.
ამის გამო თანდათან გაივსო მდინარე ვერესა და მისი შენაკადები.

გ. 13 ივნისს მოვიდა წვიმა.
წვიმამ გააქტიურა ნიადაგის ეროზიული და მეწყერული პროცესები.

დ. განვითარდა ღვარცოფული პროცესები.
ღვარცოფულმა პროცესებმა გამოიწვია შემოგარენის დატბორვა.

ბლოკი 3

წყალდიდობები თბილისში

1 წაიკითხეთ შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 3) პირველი დავალების ტექსტი:
როგორ ფიქრობთ, რა არის ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორიის პერიოდულად დატბორვის მიზეზი?

2 რას მიიჩნევს სტატიის ავტორი (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 3, დავალება 1) ძირითად პრობლემად? რაში ხედავს გამოსავალს?

3 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (3.1) და უპასუხეთ:
რას ასახელებს ჟურნალისტი სტიქიის მძიმე შედეგების მიზეზებად? (ვარაუდები):

4 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (3.1) კიდევ ერთხელ: როგორ ფიქრობთ, ვის და რას აბრალებს საზოგადოება სტიქიის შედეგებს?

5 შეაჯამეთ ყველა არსებული ინფორმაცია და დაწერეთ პრობლემის მოგვარების თქვენეული ხედვა (120-150 სიტყვა):

ბლოკი 4

პარტიზანული მებაღეობა

1 მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (3.2):

ა. რა პრობლემები უკავშირდება „ვაკის პარკს“?

ბ. რა იგულისხმება ფრაზაში: „ჩვენ და ინვესტორი ერთ მხარეს ვიბრძვით“?

2 ჩამოთვალეთ, რა პრობლემებს ებრძვის „პარტიზანული მებაღეობა“ და როგორ?

3 რატომ მიმართავენ „პარტიზანელი მებაღეები“ ბრძოლის პარტიზანულ ფორმას? რას უწოდებს ნატა ფერაძე აქციების ამ ფორმას?

4 რა არის „პარტიზანული მებაღეობის“ ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა?

5 აუდიოჩანაწერის (3.2) მიხედვით დაწერეთ „პარტიზანული მებაღეობის“ მოკლე ისტორია: როდის დაარსდა, რას მიაღწია, რისთვის და რა ფორმით იბრძვის.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"
www.geofl.ge

ბლოკი 1

საყოველთაო დაგღვევა

1 მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (4.1) კიდევ ერთხელ და გაარკვიეთ:

ა. როდის არის საჭირო დარეგისტრირება და როდის - არა?

ბ. როგორ უნდა დარეგისტრირდეს პაციენტი?

2 ვიდეოჩანაწერის (4.1) მიხედვით, რომელი შემთხვევების მართვას გულისხმობს გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება? მონიშნეთ ჩამონათვალში:

- ☐ ტრავმები;
- ☐ მოტეხილობები;
- ☐ შაქრიანი დიაბეტი;
- ☐ დამწვრობა;
- ☐ C ჰეპატიტი;
- ☐ მოყინვა;
- ☐ ანემია;
- ☐ ჭრილობები;
- ☐ მოწამვლა;
- ☐ ცხვირიდან სისხლდენა;
- ☐ ნეფრიტი;
- ☐ ჰიპერტონიული კრიზი;
- ☐ გულის რიტმის დარღვევები;
- ☐ ათეროსკლეროზი.

3 **როგორ ანაზღაურდება პროგრამით გაწეული მომსახურება (ვიდეოჩანაწერი 4.1):**

ა. პაციენტის მხრიდან თანაგადახდით.

დააზუსტეთ, როგორ: _____

_____

_____

ბ. თანაგადახდის გარეშე.

დააზუსტეთ, როგორ: _____

_____

4 **როგორ განისაზღვრება გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება?**

_____

_____

5 **მიუსადაგეთ ერთმანეთს:**

ჯანდაცვა	თანხის ნაწილის გადახდა
საყოველთაო	ჯანმრთელობის დაცვა
პროგრამაში ჩართული დაწესებულება	ყველასთვის ხელმისაწვდომი
თანაგადახდა	პროგრამის მონაწილე ორგანიზაცია

ბლოკი 2

ყველაგე გავრცელებული დაავადებები საქართველოში

1 **გადახედეთ ტექსტს შემსწავლელის წიგნში (ბლოკი2, დავალება 2):**
რა კუთხით არის პროგრესი საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში?

_____

2 **იპოვეთ სტატიაში (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 2, დავალება 2) სამომავლო პროგნოზები:**

_____

3 ჩასვით მოცემული ფრაზები წინადადებებში:

ზედმეტად მიღება ყოველწლიურად

წამყვანი ადგილი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი

გადასაჭრელ პრობლემად გამოავლინა

ა. არაგადამდები დაავადებები კვლავაც რჩება მნიშვნელოვან ..... საქართველოს ჯანდაცვის სისტემისათვის.

ბ. მოცემული კვლევის თანახმად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს .... უჭირავს.

გ. საქართველოში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს შორის ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის კუთხით .... ჰიპერტენზიას აქვს.

დ. კვლევამ ..... , რომ ქვეყანაში თამბაქოს მოხმარების საშუალო მაჩვენებელი 30.3%-ია.
ე. დაავადების გავრცელება ქვეყანაში საკმაოდ მაღალია და ..... იზრდება.

ვ. დიაბეტი დაკავშირებულია ისეთი ფაქტორების მოქმედებასთან, როგორებიცაა: არასწორი კვება, თამბაქოსა და ალკოჰოლის ...., სიმსუქნე, ჰიპოდინამია.

4 იპოვეთ ტექსტში სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები ან ფრაზები:

თამბაქოს მომხმარებელი –

გამომწვევი მიზეზები –

დიდი რაოდენობა –

ზრდის ტენდენცია –

კვლევამ გამოავლინა –

5 რამდენად საგანგაშოა ჭარბწონიანობა საქართველოში? რომელ დაავადებებთან არის იგი დაკავშირებული მოცემულ კვლევაში?

შეადარეთ საქართველოს მონაცემები თქვენი ან სხვა ქვეყნის მონაცემებს.

ბლოკი 3

საყოველთაო ჯანდაცვის ავკარგიანობა

1 **წაიკითხეთ ტექსტები შემსწავლელის წიგნის (ბლოკი 3) პირველი და მეორე დავალებებიდან და იპოვეთ ლექსიკონში შემდეგი სიტყვების განმარტებები:**

ავკარგიანობა – .....

მოწყვლადი (ჯგუფები) – .....

განურჩევლად (შემოსავლისა) – .....

შემსუბუქება – .....

ხელმისაწვდომობა – .....

ჭარბი (მოხმარება) – .....

მიდრეკილება – .....

ჩამოყალიბებული – .....

დანერგვა – .....

შემცველობა – .....

2 **ტექსტების (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 3, პირველი და მეორე დავალებები) მიხედვით უპასუხეთ შეკითხებს:**

ა. მოსახლეობის რამდენი პროცენტი არ სარგებლობს სამედიცინო მომსახურებით?

_____

ბ. რომელი დაავადების რიცხვი იზრდება განსაკუთრებით?

_____

გ. იპოვეთ ტერმინ ჰიპერტენზიის სინონიმი:

_____

დ. რომელ სფეროში არ გაუტარებია სახელმწიფოს ეფექტური ღონისძიებები?

_____

3 **წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული აბზაცი ტექსტიდან და მონიშნეთ, რომელი ფრაზა შეესაბამება ამ აბზაცს:**

ჰიპერტენზიის გამომწვევი რისკფაქტორების სია ცხადყოფს, რომ ამ დაავადებასთან ბრძოლის ერთადერთი გზა სამედიცინო დაწესებულებები არაა და რისკფაქტორების შემცირების გარეშე ჰიპერტენზიით ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლის შეცვლა რთული ან შეუძლებელი იქნება.

- ○ ჰიპერტენზიასთან საბრძოლველად საჭიროა პრევენციული ზომების გატარება;
- ○ ჰიპერტენზიასთან საბრძოლველად საჭიროა სამედიცინო დაწესებულებებში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- ○ ჰიპერტენზიასთან საბრძოლველად საჭიროა ანტიჰიპერტენზიული მკურნალობა.

4 **ჩამოწერეთ ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის შესახებ თქვენთვის საინტერესო საკითხები, რომლებზეც აქამდე ვერ მიიღეთ პასუხი. შეადგინეთ შეკითხვები ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ.**

შენიშვნა: შედგენელი შეკითხვები შეგიძლიათ გამოიყენოთ ჯგუფური დისკუსიის დროს (იხ. შემსწავლელის წიგნი, დავალება 5.ა).

- .....
- .....
- .....
- .....

5 **შეაჯამეთ მოსმენილი მოხსენებების შედეგები (შემსწავლელის წიგნი, დავალება 5) და დაწერეთ მცირე ზომის ესე (130-150 სიტყვა) საქართველოში ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის შესახებ.**

ბლოკი 4

საყოველთაო ჯანდაცვის საყოველთაო პრობლემები

1 **იპოვეთ ტექსტში (აუდიოჩანაწერი 4.2) ანტონიმები:**

ა. ჯანდაცვის კერძო პაკეტი –

ბ. ფულის არამიზნობრივად ხარჯვა –

გ. მოსახლეობის უმდიდრესი ნაწილი –

2 **განმარტეთ, რას ნიშნავს (საჭიროებისამებრ გამოიყენეთ ლექსიკონი):**

ა. „დაზღვევის მოკრძალებული პაკეტი“?

ბ. „ფულის მიზნობრივად მიმართვა“?

გ. „ხარჯები შემაშფოთებლად იზრდება“?

3 **გაარკვიეთ, არის თუ არა ბენეფიციარი ზმნით აღნიშნულ მოქმედებაში და ჩასვით შესაბამისი ზმნები:**

უფინანსებს	უწევს	უჭირს	აფინანსებს	გაჭირდა

ა. სახელმწიფო ბენეფიციარებს ..... ძვირადღირებულ ქირურგიულ ოპერაციებს.

ბ. სოფლის მოსახლეობას საკუთარი ხარჯებით ..... მედიკამენტების შეძენა.

გ. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ ..... ქრონიკული დაავადებების მკურნალობას.

დ. სოფლის უღარიბეს მოსახლეობას ..... მედიკამენტების ყიდვაც კი.

ე. პროგრამის შედეგად ვითარება დამძიმდა და ..... ქრონიკული დაავადებების მკურნალობა.

4 **გადახედეთ მე-10 თავში მოცემულ მოსამენ და წერილობით ტექსტებს და ჩამოწერეთ პუნტებად, რა შედეგები მოჰყვა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას:**

შენიშვნა: შეძლებისდაგვარად დაასახელეთ ბენეფიციარი და გამოიყენეთ ზმნების შესაბამისი ფორმები.

ა. რა გაუკეთა სახელმწიფომ მოსახლეობას:

მაგალითად

პროგრამამ დაუფინანსა ავადმყოფებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ოპერაციები.

ბ. რა არ გაუკეთა სახელმწიფომ მოსახლეობას?

5 დაწერეთ ესე, რომელშიც გააანალიზებთ, ზოგადად როგორი უნდა იყოს დაზღვევის სისტემა.

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"
www.geofl.ge

ბლოკი 1

საარსებო მინიმუმი

1 **გადაიკითხეთ ტექსტი შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 1, დავალება 2) და განმარტეთ თქვენი სიტყვებით, რატომ მიიჩნევა საქართველო სიღარიბის ზღვარზე მყოფ ქვეყნად?**

2 **როგორ განმარტავთ ეკონომიკურ ტერმინს „სამომხმარებლო კალათაში“?**

3 **განმარტეთ, რას ნიშნავს შემდეგი ფრაზა:**

„ეს იმაზეა დამოკიდებული, კონკრეტულ დროს როგორ არის განფენილი ხარჯების „მარაო“ სხვადასხვა საქონლის ან მომსახურების მიმართ.“

4 **ა. განმარტეთ, რას ნიშნავს სიტყვა „ასახავს“ შემდეგ ფრაზაში:**

„საარსებო მინიმუმი ვერ ასახავს რეალურ საჭიროებებს.“

ბ. შეცვალეთ ზმნა „ასახავს“ სინონიმური სიტყვით ან ფრაზით ზემოთ მოცემულ წინადადებაში:

5 **დააკვირდით ქვემოთ მოცემულ ფრაზებს ტექსტიდან და გაარკვიეთ, რა სახის მოქმედებას გადმოსცემენ ისინი:**

ა. სამომხმარებლო კალათა უნდა გადაიხედოს.

ბ. აუცილებლად უნდა გადაისინჯოს საარსებო მინიმუმი.

ბლოკი 2

ქართული ღვინის ექსპორტი

1 ა. რომელი ქვეყნები არის საქართველოს ღვინის ექსპორტისთვის „ახალი ბაზრები“?

ბ. რომელი ქვეყნების ბაზრებზე გაიზარდა ქართული ღვინის ექსპორტი და რომლებზე შემცირდა ექსპორტი?

2 რომელი ფაქტორები მოქმედებს ღვინის ექსპორტის ზრდასა თუ კლებაზე?

3 ჩამოწერეთ, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისთვის, რომ ქართული ღვინის რეალიზაცია გაიზარდოს?

მაგალითად

სტატიების გამოქვეყნება საზღვარგარეთულ ჟურნალებში.

4 ჩაწერეთ ცხრილში, რა მახასიათებლები აქვთ ქართული ღვინის ახალ და ძველ საექსპორტო ბაზრებს:

კარგი ცნობადობა	არასტაბილური ბაზარი	ექსპორტის ზრდა
ექსპორტის ვარდნა	ნაკლებად ცნობადობა	სტაბილური ბაზარი

ახალი საექსპორტო ბაზრები	ძველი საექსპორტო ბაზრები

5 რითი აიხსნება 2014-2015 და 2015-2016 წლების ექსპორტის ვარდნისა და ზრდის ტენდენცია? (რა ფაქტორები მოქმედებს ღვინის ექსპორტზე)?

ბლოკი 3

საშინაო და საგარეო ვალი

1 განმარტეთ თქვენი სიტყვებით ტერმინი „სახელმწიფო ვალი“. მოიშველიეთ ტექსტი (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 3, დავალება 2) და მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია (მაგალითად, „სამოქალაქო განათლების ლექსიკონი“, ონლაინვერსია საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php):

2 განმარტეთ შემდეგი ფრაზები. მოიშველიეთ კონტექსტი (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 3, დავალება 2):

ა. განმარტეთ შემოკლება „მშპ“ (აბზაცი 13).

ბ. როგორ გამოითვლება ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი? (აბზაცი 15)

გ. როგორ ხდება საგარეო ვალის გადახდა? (აბზაცები 21-22)

დ. როგორი ქვეყნისთვის არის მისაღები ეკონომიკური ზრდის მაჩვენებალი 2-7 პროცენტი? (აბზაცი 24)

---

3 **ჩამოაყალიბეთ ჰიპოთეზა მოცემული ფრაზების გამოყენებით წიგნში შემუშავებული წესის მიხედვით:**

ა. სახელმწიფოს საგარეო ვალის გაზრდა – თითოეული მოქალაქის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება.

ბ. ქვეყნის ეკონიმიკური ზრდა – სამომხმარებლო კალათაში სურსათის წილის შემცირება.

გ. ქართული ღვინის ცნობადობის ზრდა ახალ ბაზრებზე – ღვინის რეალიზაციის მატება.

---

4 **ა. იპოვეთ ქვემოთ მოცემულ წინადადებაში, რატომ მოუწევს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს მეტი თანხის დაზოგვა:**

- **რეალური მიზეზი** (გახაზეთ სწორი ხაზით);
- **უარყოფილი მიზეზი** (გახაზეთ წყვეტილი ხაზით).

საქართველოს თითოეულ მოქალაქეს მეტი თანხის დაზოგვა მოუწევს არა იმიტომ, რომ სამომავლო ინვესტიციები განახორციელოს, არამედ იმიტომ, რომ მათი პირობითი წინაპრების მიერ აღებული ვალი გაისტუმროს.

ბ. შემოხაზეთ თითოეული მიზეზის მიმათითებელი სიტყვები:

- ერთი სიტყვა, რომელიც მიუთითებს უარყოფილ მიზეზზე;
- ერთი სიტყვა, რომელიც მიუთითებს რეალურ მიზეზზე.

გ. შეავსეთ წესი:

უარყოფილი მოქმედების აღსანიშნავად გამოიყენება ნაწილაკი „ ..... “, ხოლო უარყოფილის მაგივრად შესასრულებელი ან შესრულებული მოქმედების აღსანიშნავად კავშირი „ ..... “.

5 **შეადგინეთ წინადადებები არამართებული და მართებული მიზეზის აღსანიშნად ზემოთ შემუშვებული წესის მიხედვით:**

ა. საქართველო სიღარიბის ზღვარზე მყოფი ქვეყანაა: მცდარი მიზეზი – საარსებო მინიმუმი 159 ლარი; ნამდვილი მიზეზი – სამომხმარებლო კალათაში სასურსათო დანახარჯის მაღალი წილი.

ბ. ზემოქმედება ღვინის ექსპორტზე: მცდარი მიზეზი – შიდა ვალუტის მერყეობა; ნამდვილი მიზეზი – გარე ვალუტის მერყეობა.

გ. საქართველოს საგარეო ვალი საგანგაშოა: მცდარი მიზეზი – ვალის ოდენობა; ნამდვილი მიზეზი – საქართველოს ეკონომიკური ზრდის არასაკმარისი პროცენტული მაჩვენებელი.

ბლოკი 4

აბრეშუმის გზა

1 **რა ფუნქცია ჰქონდა „აბრეშუმის გზას“ შუა საუკუნეებში?**

2 **რატომ დაკარგა ისტორიული ფუნქცია „აბრეშუმის გზამ“?**

3 **რა საერთოა „აბრეშუმის გზის“ ძველ და ახალ პროექტებს შორის?**

4 **შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 4, დავალება 4) შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე შეიმუშავეთ თეზები „აბრეშუმის გზის“ ხელისშემშლელი ფაქტორების გათვალისწინებით** (მცდარი და რეალური რისკფაქტორები; გამოიყენეთ კონსტრუქცია “არა ….., არამედ ….”)

5 **შეიმუშავეთ ჰიპოთეზები აბრეშუმის გზის სამივე ვარიანტის შესახებ:**

მაგალითად

ვარიანტი ა: თუ „აბრეშუმის გზა“ გაივლის რუსეთზე, მაშინ……

ვარიანტი ბ:

ვარიანტი გ:

© ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"
www.geofl.ge

ბლოკი 1

აბრეშუმის გზის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა

1 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (6.1) და გაარკვიეთ:

ა. საიდან მოდის სახელწოდება „აბრეშუმის გზა“?

ბ. რით იყო განსაკუთრებული აბრეშუმის გზა?

სიგრძე, არსებობის ხანგრძლივობა, ...

2 ა. ნახეთ ვიდეოჩნაწერი (6.1) კიდევ ერთხელ და განსაზღვრეთ, რა იყო აბრეშუმის გზის ძირითადი ეკონომიკური სარგებელი?

ბ. რა იყო აბრეშუმის გზის თანმდევი ეკონომიკური და არაეკონომიკური სარგებელი იმ ქვეყნებისთვის, რომლებზეც გადიოდა ეს მარშრუტი?

გ. რა იყო მნიშვნელოვანი აბრეშუმის გზის არსებობისთვის? რატომ არსებობდა საიდუმლო მონაკვეთები?

3 ნახეთ ვიდეოჩანაწერები (6.3 და 6.4) და განსაზღვრეთ, რით არის აბრეშუმის გზა უფრო სარგებლიანი, ვიდრე შემოვლითი გზა? რა იზოგება და რა ოდენობით ამ გზით?

4 აბრეშუმი ძველი და ახალი გზის შესახებ შეგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეთ მნიშვნელოვანი საკითხები პუნქტებად. დაახარისხეთ ისინი პირველხარისხოვან და მეორეხარისხოვან ინფორმაციად. ამ პუნქტებზე დაყრდნობით შეადგინეთ სტრუქტურა ესესთვის „აბრეშუმის ძველი და ახალი გზა“.

5 მე-4 დავალებაში შემუშავებული სტრუქტურის მიხედვით დაწერეთ ესე „აბრეშუმის ძველი და ახალი გზა“.

მოიყვანეთ არგუმენტები, დაასაბუთეთ თქვენი თვალსაზრისი (დაახლოებით 150-170 სიტყვა).

ბლოკი 2

საქართველო: ევროპა თუ აზია?

1 თქვენი აზრით, საქართველო აზიაა თუ ევროპა? გაამყარეთ თქვენი მოსაზრება არგუმენტებით:

2 გაეცანით ბლოგის ჩანაწერებს ბმულზე: http://www.conference.ge/topic/2606-საქართველო-აზიაა-თუ-ევროპა/
შეაჯამეთ, რას წერენ ქართველები ამ თემაზე.

3 რაში ეთანხმებით (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 2, დავალება 2) სტატიის ავტორს და რაში – არა?

4 მოიძიეთ ინფორმაცია შემდეგი მოსაზრების გასამყარებლად: „საქართველო უფრო აზიაა, ვიდრე ევროპა.“ დაიმოწმეთ წყარო (სტატია, ინტერვიუ...)

5 დაწერეთ ესე – „საქართველო – ევროპა თუ აზია?" მოიყვანეთ ორივე მოსაზრების დამადასტურებელი არგუმენტები, დაიმოწმეთ მათი შესაბამისი წყარო და ჩამოაყალიბეთ საკუთარი პოზიცია (დაახლოებით 180-200 სიტყვა).

ბლოკი 3

საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარგზე

1 კონტექსტის მიხედვით განმარტეთ შემდეგი სიტყვები შემსწავლელის წიგნის პირველი დავალების ტექსტიდან:

თვითწარმოდგენა _____

გზის გასაყარი _____

ცნება _____

ქართველოლოგი _____

ამოსავალი წერტილი _____

გარდაქმნა _____

2 იპოვეთ შემდეგი სიტყვების მნიშვნელობა ლექსიკონებისა და ინტერნეტის დახმარებით:

გზაჯვარედინი _____

სამიზდატი _____

კარიბჭე _____

3 რა არის, ავტორის აზრით, ქართველებისა და საქართველოს „ძველი იდენტობა“ და რა იქნება „ახალი იდენტობა“?

_____

_____

_____

_____

_____

_____

4 დამოუკიდებლად მოიძიეთ ინფორმაცია „ქართული რენესანსის თეორიის“ შესახებ და მოკლედ გადმოეცით ეს თეორია. დაიმოწმეთ წყაროები:

_____

_____

_____

5 დაწერეთ ესე „ქართული რენესანსის თეორიის“ შესახებ. დაეთანხმეთ შემსწავლელის წიგნის 1-ლ დავალებაში მოცემული ესეს ავტორის შეხედულებას ამ თეორიის შესახებ ან უარყავით ის. გაითვალისწინეთ ესესთვის საჭირო სტრუქტურა.

ბლოკი 4

საქართველო და ევროკავშირი

1 რა ბარიერები ხვდება ევროინტეგრაციის იდეას ქართული საზოგადოების ცალკეულ ნაწილში (ვიდეოჩანაწერი 6.5)?

2 ვიდეოჩანაწერის (6.5) მიხედვით:

ა. საქართველოს რეგიონებში უმეტესად რომელი მითები/სტერეოტიპებია გავრცელებული ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით?

ბ. როგორ და რა არგუმენტებით იმსხვრევა ეს მითები?

3 რას ნიშნავს ბაზრების დივერსიფიკაცია?

4 რა კონკრეტული სიახლეები მოჰყვება საქართველოსთვის ევროკავშირში ინტეგრაციას?

5 დაწერეთ მოკლე სტატია (დაახლოებით 200-230 სიტყვა) საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის პოზიტიურ შედეგებზე.

www.geofl.ge